

საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.

ჯიბის წიგნის სერია 9

მედია – კულტურა – საზოგადოება

გერმანე გოგიტიძე (1886-1960) – ქართული კინონარმოების ერთ-ერთი პიონერი. უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში. 1914 წელს ოზურგეთში თავისივე თანხებით ააშენა თეატრი, რომელიც შემდეგ კინოთეატრ «ილუზიონად» გადაკეთდა. 1916 წელს რეჟისორ ალექსანდრე წუნუნავასთან ერთად გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ფილმი «ქრისტიანე». 1921 წლიდან სათავეში ჩაუდგა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ კინოსექციას. 1923 წლიდან, «სახკინმრეწვის» შექმნის შემდეგ, იყო მისი დირექტორ-განმკარგულებელი. 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ა მუხლის (სამშობლოს ღალატი) საფუძველზე დააკავეს და კომის ასსრ-ში მდებარე შრომა-გასწორების ბანაკში (მინლაგი) გადაასახლეს, საიდანაც 1956 წელს დაბრუნდა. გოგიტიძე იყო რეაბილიტირებული, თუმცა მას შემდეგ იგი ქართულ კინონარმოებაში აღარ მონაწილეობდა. გოგიტიძის დამსახურებაა, რომ საქართველოში კინონარმოებამ ინსტიტუციური ხასიათი მიიღო.

ქართული კინოს წარსულიდან

გერმანე გოგიტიძე

თბილისი, 2013



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელშეწყობით

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელშეწყობით



საქართველოს ეროვნული არქივის ხელშეწყობით

საქართველოს ეროვნული არქივის ხელშეწყობით

ნახატი გარეკანზე:

ქ. Nadar-ის მეგობრული შარჟი გ. გოგიტიძეზე (1925).
„ჩვენ როცა კინოწარმოება დავიწყეთ, არაფერი არ გავგაჩნდა გარდა ქალთა ტეხნიკუმიდან მოპარულ სამელნისა“ – გ. გოგიტიძის მიერ ხელ. მუშ. V ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

რუსული ნაწილის თარგმანი: კონსტანტინე დუმბაძე

სამეცნიერო რედაქტორი: ნინო ძანძავა

რედაქტორი: რუსუდან ასათიანი

გამომცემელი: სოსო დუმბაძე

პირველი გამოცემა, 2013

ISBN 978-9941-0-5910-0

ყველა უფლება დაცულია

© საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა., 2013

www.sa-ga.org

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

ბიოგრაფია 13

მომონებები

ცოტა რამ ქართული კინოს წარსულიდან 65

როგორ იდგმებოდა კინო-სურათები:

„სურამის ციხე“, „სამი სიცოცხლე“, „ვინ არის
დამნაშავე?“ („უაილდ-ვესტის მხედარი“) და
„ჯანყი გურიაში“ 81

რამდენიმე სიტყვა სურათის

„ვინ არის დამნაშავე?“ („უაილდ-ვესტის
მხედარი“) თაობაზე 100

ჩემი მივლინება ბერლინსა და

პარიზში, 1925 წელი 106

რამდენიმე სიტყვა ჩემს მივლინებაზე

სპარსეთში – თეირანში 127

ქართული კინოს წარსულიდან 140

* * * (ლადო მესხიშვილი) 161

კრიტიკული წერილები

სახკინმრეწვი (პ. საყვარელიძე) 173

საყვარელიძის სტატიის გაგრძელება 187

გ. გოგიტიძის პასუხი პ. საყვარელიძეს 196

საარქივო მასალები

გ. გოგიტიძის წერილი აკაკი ჩხენკელს 213

რეჟისორ ალ. ნუნუნავასათვის
„ქრისტიანეს“ გადასაღებად
ნებართვის გაცემის დოკუმენტი 214

გ. გოგიტიძის განცხადება კავშირთა
კავშირის გამგეობას 217

ცნობა „ფილმას“ შესყიდვის შესახებ 220
მოსხენება კინონარმოების მოქმედების
გაფართოებისათვის 221

1920-1921 წლების ქართული
კინონარმოების ხარჯთაღრიცხვა 234

ცნობა გ. გოგიტიძისადმი ბინის
გადაცემის თაობაზე 248

გ. გოგიტიძის დეპეშა ცეკავშირს 251

თხოვნა ირანში გასამგზავრებლად
ვიზის მიღების თაობაზე 252

უცნობი პირის წერილი გ. გოგიტიძეს
თეირანიდან 255

საძიებელი 259

მომზადებული

ასე რომ, წარმომადგენლობაში გულაცრუებული დავბრუნდი.

დიდხანს არ მიფიქრია, თბილისში განათლების სახკომ კანდელაკს სასწრაფო დეპეშა გავუგზავნე; დახმარებას ვთხოვდი, რადგან სურათს ჩავარდნა ემუქრებოდა; ვთხოვდი, რომ ჩამოსულიყო. მოულოდნელად ვიღებ საპასუხო შეტყობინებას ამირაგოვისგან (ჩემი უშუალო უფროსისაგან): „კანდელაკს ჩამოსვლა არ შეუძლია, მიაღწიე სტალინთან შეხვედრას.“

ადვილი იყო ამგვარი დეპეშების გაგზავნა და ამგვარი რჩევის მიცემა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს მასთან მოხვედრა შედარებით იოლი იყო.

მაშინ გადავწყვიტე ბესო ლომინაძესთან წავსულიყავი, ვიცოდი რა მისი სტალინთან კარგი ურთიერთობების შესახებ. ავუხსენი მას, თუ როგორი იყო ვითარება, რომ ლუნაჩარსკის საკითხი ცკ-ში გადაჰქონდა და საქმის გართულების თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნებოდა, სტალინისთვის გვეთხოვა ჩარევა. ბესო ლომინაძემ, რაიმე გართულების გარეშე, ჩემი თანდასწრებით დაურეკა სტალინს და აუწყა, რომ ლუნაჩარსკისთან ერთად ნახა სურათი და ის მათ ძალიან მოეწონათ, მაგრამ რეპერტკომი ართულებდა მის გამოშვებას და ლუნაჩარსკის სურვილით ის ცკ-ს კულტპროპაგანდის განყოფილებას გადაეგზავნებოდა განსახილველად. ლომინაძემ სტალინს ამ საქმეში ჩარევა სთხოვა. არ ვიცი, რა უპასუხა მას სტალინმა, მაგ-

რამ ამის შემდეგ მან მითხრა: „წადი ახლა კრემლში, იქ საშვს დაუშვებენ და ის შენ მიგიღებს.“

რალა თქმა უნდა, კრემლისკენ გავექანე. საშვი დაშვებული იყო და მან მართლაც მიმიღო.

ახლა თემიდან მცირეოდენი გადახვევა.

ერთხელ თბილისში ტელეფონით მირეკავს ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი, ლევან ლოლობერიძე, და მთავაზობს, დაუყოვნებლივ გავემგზავრო ზაჰესში ოპერატორთან ერთად, რათა იქ მოვძებნო და პირადად შევხვდე მას – ლოლობერიძეს. მეც რაც შეიძლება სწრაფად გავემგზავრე და შევესწარი ასეთ სურათს: ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელ მთავრობას იქ მოეყარა თავი. მე იმწამსვე მოვძებნე ლევან ლოლობერიძე, რომელმაც მაუწყა, რომ ჩამოსული იყო ი. ბ. სტალინი და საჭირო იყო მისი გადაღება.

ზაჰესის მშენებლობა ჯერ არ იყო დასრულებული. ლევანს ვკითხე, თუ სად იმყოფებოდა ის, ვისი გადაღებაც იყო საჭირო. მან მიმანიშნა პირთა ჯგუფზე, რომელიც კაშხლის დათვალიერების შემდგომ უკან ბრუნდებოდა. მე მათ წინ გადასაღები აპარატი შევაგებე, მაგრამ სტალინმა გადაღებას თავი აარიდა. მაშინ ლოლობერიძემ შემომთავაზა გამეშვა ოპერატორი, თავად კი მათთან დავრჩენილიყავი.

გარკვეული ხნის შემდეგ ჩვენ რომელიღაც ფიცრულში შეგვიყვანეს, სადაც საუზმე გველოდა. აქ იყვნენ მთავრობის წევრები; მათ შორის აღმოვჩნდი მეც.

სიმართლე გითხრათ, თავს უხერხულად ვგრძნობდი. სტალინის პირველად ვხედავდი. ის ჩექმებში და სეზონურ პალტოში იყო. მაგიდასთან ძველი ბოლშევიკის, გიორგი ჩხეიძის, გვერდით იჯდა.

თამადად ანასტას ივანეს ძე მიქოიანი იყო. სხვა სადღეგრძელოებთან ერთად ჩემი სადღეგრძელოც შეისვა. სიტყვა-სიტყვით ითქვა ასე: „ახლა კი საქართველოს კინპრომის წარმომადგენლის, ამხ. გოგიტიძის სადღეგრძელო შევსვით“, და რამდენიმე სიტყვით დამსწრეთ ჩემი თავი წარუდგინა; განსაკუთრებით, კინოსურათ „წითელი ეშმაკუნების“ დადგმა აღინიშნა.

ი. ბ. სტალინმა ჭიქა აწია და შემდეგი სიტყვებით მომმართა: „ამხანაგო, ჩვენ პატივს გცემთ იმის გამო, რომ თქვენ ეს საქმე შეასრულეთ, თქვენ კი პატივი უნდა გვცეთ იმიტომ, რომ ამ საქმის შესრულების შესაძლებლობა მოგეცით“.

საპასუხოდ ჭიქა ავწიე და ვთქვი: „თუ პარტია და მთავრობა ჩვენ დახმარებას გაგვიწევს, მაშინ წითელ დროშას, რომელიც ჩვენ ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა გადმოგვცეს, ღირსებით და მაღალანეულს დავიჭერთ“. (წითელი დროშა ჩვენ გადმოგვცა ივანოვო-ვოზნესენსკის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა დელეგაციამ). შემდეგ დავამატე: „მე ვიცი, თუ როგორ უნდა თამასუქების წარდგენა“. ამაზე ი. სტალინმა მიპასუხა: „თუ თამასუქი სწორად იქნება შედგენილი – ჩვენ მას ანგარიშში გავითვალისწინებთ“ (ეს თქვა წმინდა საბანკო ენით).

ახლა კი, დავუბრუნდები ზემოთქმულს.

როდესაც ერთი თუ ორი წლის შემდეგ სტალინის კაბინეტში აღმოვჩნდი, მან დანახვისთანავე ასეთი სიტყვებით მომმართა: „აბა მითხარით, თამასუქი სწორადაა დაწერილი?“ „ეფიქრობ, რომ სწორად“ – ვუპასუხე მე (გამაოცა მისმა მეხსიერებამ). რამდენიმე სიტყვით ავუხსენი საქმის არსი. „შაბათს, სამ საათზე მე თვითონ ვნახავ ამ სურათს“ – მითხრა მან. მადლობა გადავუხადე და გამოვედი.

გამოსვლისთანავე, იმწამსვე თბილისში დეპეშა ვაელვე:

„სტალინთან შეხვედრა შედგა, შაბათს, 3 საათზე დაგეგმილია სურათის ჩვენება მისი თანდასწრებით“. სახკომ კანდელაკისაგან ვიღებ ასეთ პასუხს: „მოვდივარ“.

პასუხი მოულოდნელი და უცნაური მომეჩვენა. როცა გამოვიძახე და ჩამოსვლას ვთხოვდი, მან უარი მითხრა, ხოლო როცა საქმე ხელსაყრელად შემობრუნდა, მან ჩამოსვლა გადანყვიტა. ხდება ასეთი კაზუსებიც.

მე მას სადგურზე დავხვდი. პირდაპირ სადგურიდან, რეჟისორ პერესტიანთან ერთად, ჩვენ კრემლისკენ გავეშურეთ.

კრემლში შედგა სურათის დემონსტრირება კრემლის ყველა თანამშრომლის თანდასწრებით. მას ისეთივე უდიდესი წარმატება ხვდა წილად, როგორიც საქართველოში პირველი ჩვენებისას. ჩვენებას თან სდევდა მქუხარე აპლოდისმენტები. თუ რას განვიცდიდი მე პირადად – სიტყვებით ვერ

გადმოვცემ. ჩვენების შემდეგ შედგა სურათის შეფასების კომისიის სხდომა.

თვითონ სტალინი არც ჩვენებას და არც სურათის შეფასებას არ დასწრებია. თავმჯდომარეობდა უმაღლესი საბჭოს მაშინდელი მდივანი – აბელ ენუქიძე. როგორც ჩანს, ეს საქმე მას ჩააბარეს.

კომისიაში მონაწილეობდა აგრეთვე ცკ-ს კულტპროპაგანდის მდივანი სირცოვი. პირველი გამოვიდა ა. ვ. ლუნაჩარსკი. მან გიორგი წერეთლის ნაწარმოების წინასიტყვაობა წარმოადგინა. გასაოცრად კარგად გაკეთდა იმ ლიტერატურული მასალის ანალიზი, რომელიც სურათს საფუძვლად დაედო. ხატოვნად და მკაფიოდ გადმოსცა მან საქართველოს ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გადასვლის ისტორიული ფაქტები. შემდეგ დეტალურად განიხილა და შეაფასა თვით სურათის დადგმა.

მე აღტაცებული ვიყავი. იმ მომენტში დამავინწყდა სურათის შემდგომი ბედი. აღტაცებული ვიყავი გამომსვლელის შესანიშნავი მეტყველებითა და ერუდიციით. უნდა ითქვას, რომ ა. ვ. ლუნაჩარსკი ერთ-ერთი უგანათლებლესი და უგანსნავლულესი ადამიანი გახლდათ საბჭოთა კავშირში.

თავისი სიტყვის დასასრულს მან განაცხადა, რომ სურათი ყოველგვარ ქებას იმსახურებს, გოსკინპრომი კი, სურათის გამოშვების გამო – მადლობას. სურათმა კულტპროპის სირცოვის შექებაც დაიმსახურა.

საარქივო მასალები

15 19 XI 1920

ნოემბერი

ტფილისის ქალაქის
მოურავს

მიმდინარე წლის სექტემბრიდან განათლების სამინისტროს გამგებლობაში გადმოსული სახელმწიფო კინო-ატელიეს ხელმძღვანელ-დირექტორად მონვეულია ბ. გერმანე გოგიტიძე, რომელიც ბინის უქონლობის გამო დიდად შევიწროებულია.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ ბ. მოურავო, გაცეთ განკარგულება, რათა ბ. გოგიტიძეს სასწრაფოდ მიეცეს ბინა წინააღმდეგ შემთხვევაში უხელმძღვანელოდ დარჩენილ კინო-ატელიეს წარმოება შეფერხდება.

განათლების მინისტრი

ა მ ხ ა ნ ა გ ი

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი

მ დ ი ვ ა ნ ი

15 19.11.1920 წელი. ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1 გვ. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1935, ან. 1, საქმე 894. ფურც. 17.

<p>ბალთაბაუთი</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p>	<p>დვანთა</p> <p>შობილისი მუკანდისი ბილბაბი</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p>
<p>თავისი მსჯელთი €12,13,30,20,33.</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p>	<p>1003</p> <p>1.10</p> <p>დას. 10.10.1998.</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p>
<p>საქმის № 10-9</p> <p>რ. მსჯელთი 7:3</p> <p>საქმის № 262</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p>	<p>საქმის № 1</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p>

ამისივე საჭიროა გამომგავნებთ აპარატური ბათიში შესწავლილს

მისი მართლმართა მიღებულს. = ამოცილები

[Handwritten signature]

გერმანე გოგიტიძის მიერ ოპერატორის გამომცხევა – დეპეშა.

1.06.1920. ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1 გვ. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 371, ანაწერი 1, საქმე 219. გვ. 33.

¹⁶დეპეშა

ტელეგრაფი

თბილისი ცეკავშირი დიდუბეში

თბილისი ოზურგეთი 612, 13, 30, 20, 33.

1/VII-20.


ძლიერ საჭიროა გამოგზავნეთ ოპერატორი ბათო-
მი თხოვილობს
მისი გამოსვლა მიდეპეშეთ. გოგიტიძე

16 1.06.1920. ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1 გვ. საქართვე-
ლოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენ-
ტრალური არქივი. ფ. 371, ან. 1, საქმე 219. გვ. 33.

სა.გა.ს წიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!

ძიგა ვერტოვი – ადამიანი კინოაპარატით

საბჭოთა ავანგარდისტის, კინოდოკუმენტალისტისა და დოკუმენტური კინოს თეორეტიკოსის, ძიგა ვერტოვის (1896-1954) ტექსტების კრებული »ადამიანი კინოაპარატით« აერთიანებს ვერტოვის მიერ დაარსებული შემოქმედებითი ჯგუფის »კინოკების« მანიფესტს – »ჩვენ. მანიფესტის ვარიანტი« (1922), კინო-თეორიულ სტატიებს – »კინოკები. გადატრიალება« (1923), »»კინოთვალიდან« »რადიოთვალამდე« (1929) და სასცენარო ვარიანტს ფილმისათვის »ადამიანი კინოაპარატით« (1929). ვერტოვის ფილმი »ადამიანი კინოაპარატით« თავისი ნოვატორული კონცეფციით დღესაც დოკუმენტური კინოს პრაქტიკულ ნიმუშად რჩება.



ნიგნს დართული აქვს გერმანელი პროფესორის, საბჭოთა კინოავანგარდის სპეციალისტის, ოქსანა ბულგაკოვას ნინასიტყვაობა.

სერგეი ეიზენშტეინი – ინტელექტუალური მონტაჟი

საბჭოთა კინემატოგრაფისტისა და ხელოვნების მკვლევრის სერგეი ეიზენშტეინის კინომონტაჟის თეორიის ფუნდამენტური ტექსტების წინამდებარე კრებული აერთიანებს მის ადრეულ მანიფესტს «ატრაქციონების მონტაჟი» (1923) და ეიზენშტეინის კინოთეორიის «ინტელექტუალური მონტაჟის» ცენტრალურ ნაშრომებს – «კადრს მიღმა» (1929), «მეოთხე განზომილება კინოში» (1929) და «კინოფორმის დრამატურგია» (1929). ეიზენშტეინის რევოლუციური კინოთრილოგია და მისი მთავარი ფილმი «ჯავშნოსანი პოტიომკინი» (1925) არის მცდელობა «ინტელექტუალური მონტაჟის» პრაქტიკული რეალიზაციისა და დღესაც კინორეფლექსიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგალითად რჩება.



გამოცემის წინასიტყვაობის ავტორია სერგეი ეიზენშტეინის შემოქმედების მკვლევარი, გერმანელი პროფესორი ოქსანა ბულგაკოვა.

ჰანს ბელერი – კინომონტაჟის ასპექტები

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, ჰიჩკოკი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.


გამოცემას ახლავს კინოსამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრის სიდიდეთა მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველი სქემები.



რეზო კვესელავა – მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტაგზე

ქართველი კინოდრამატურგის რეზო კვესელავას სამემუარო წერილების კრებულში »მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე« ავტორი იხსენებს: თენგიზ აბულაძეს, აკაკი ბაქრაძეს, სულიკო ჟღენტს, მიხეილ კვესელავას, მიხეილ კობახიძეს, კოტე მიქაბერიძეს, ალექსანდრე რეხვიაშვილს, სერგო ფარაჯანოვს, ოთარ იოსელიანს, დორე ხინთიბიძესა და სხვებს.

გამოცემაში წარმოდგენელია ქართველ კინემატოგრაფისტთა უნიკალური ფოტოები ავტორის პირადი არქივიდან და კინოსტუდია »ქართული ფილმის« ორასამდე თანამშრომლის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.




ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპო- ქაში | ისტორიის ცნების შესახებ

მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება გაეცნოს ქარ-
თულ ენაზე ცნობილი ებრაული წარმოშობის გერმანელი
ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ვალტერ
ბენიამინის (1892-1940), ორ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს:
»ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპრო-
დუცირებადობის ეპოქაში« (1935-1936) და »ისტორიის
ცნების შესახებ« (1940).

პირველი წერილი ხელოვნების ნიმუშის »აურის« და-
კარგვის ახსნას გვთავაზობს და ამ მოვლენას ტექნი-
კური რეპროდუცირების პირობებით განსაზღვრავს.
ამ ტექსტმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა

1960-იან წლებში და ის
ფაქტობრივად იქცა მო-
წოდებად ხელოვნება
გამოეყენებინათ არა
ფაშისტური, არამედ სო-
ციალურ-პოლიტიკური
ემანსიპაციის მიზნით.


თეზისები »ისტორიის
ცნების შესახებ« თავი-
სებურად აჯამებს მსჯე-
ლობას ისტორიული
მატერიალიზმის დანიშ-
ნულებაზე იმდროინდე-
ლი არაორთოდოქსული
მარქსიზმის ფარგლებში.



აბას ქიაროსთამი – ქარის მხარდამხარ

თანამედროვე ირანელი კინორეჟისორისა და ხელოვნის აბას ქიაროსთამის მინიმალისტური სტილის ლექსების კრებული «ქარის მხარდამხარ».

კრებულში აგრეთვე იხილავთ ავტორის მიერ გადაღებულ ირანის ლანდშაფტის ამსახველ ფოტოებსა და გერმანელი კინომცოდნის ტობიას ერბრეხტის კრიტიკულ ტექსტს ირანულ კინოზე: «ევროპული ნატვრები და ირანული კულტურის ექსპორტი».



**მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორ ვ. ადორნო –
განმანათლებლობის დიალექტიკა. ფილოსოფი-
ური ფრაგმენტები**

„განმანათლებლობის დიალექტიკა“ (1944/47-1969)
„ფრანკფურტის სკოლის“ კრიტიკული თეორიის ყვე-
ლაზე დიდი გავლენის მქონე ნაშრომია. წიგნში მოცემუ-
ლია თანამედროვე საზოგადოების ძირეული კრიტიკა.
ცივილიზაციის განვითარების ფუნდამენტური ანა-
ლიზის საფუძველზე გამოკვლეულია მითოსიდან გან-
მანათლებლობის წარმოშობა და განმანათლებლობის
მითოსისკენვე შემობრუნება. ნაშრომი წარმოადგენს
თანამედროვე სუბიექტის, მისი „თვითის“, ფორმირების
ფილოსოფიურ თავდაპირველ ისტორიას და განიხილავს
ზნეობრიობისა და უზნეობის თანხვედრას თანამე-
დროვე საზოგადოებაში. ამ წიგნში განხილულია კულ-
ტურის ინდუსტრიის მეშვეობით ადამიანთა მასობრივი
მოტყუების მექანიზმები. ასევე, გაანალიზებულია
განმანათლებლობის საზ-
ღვრები, რომლებსაც, ნა-
ციონალ-სოციალიზმში
განხორციელებული კა-
ტასტროფის შედეგად,
ანტისემიტიზმის ელე-
მენტები წარმოადგენენ.

პირველ ქართულ თარგ-
მანს თან ახლავს დევი
დუმბაძის ნარკვევი იმის
ახსნის მცდელობით, თუ
რატომ რჩება „განმანათ-
ლებლობის დიალექტიკა“
დღესაც აქტუალური.

მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორ ვ. ადორნო

განმანათლებლობის დიალექტიკა
ფილოსოფიური ფრაგმენტები

ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ »შეშლილ-ობა«?


»მეგზური« განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაურულად მოვეკიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება, შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული ნაწილების გარეშე, ორგანიზმისადმი ზიანის მიყენების გვერდის ავლით, მოვლენების მართვასა და მყუდროებისა და სტაბილურობის მოპოვებაში.



ტექსტს ახლავს ფსიქიატრ თემურ იოსებაძის ბოლოსიტყვაობა და დამხმარე ორგანიზაციათა საკონტაქტო ინფორმაცია.

აკა მორჩილაძე – კაბდატა ინ ჯორჯია

ცალკე გამოცემის სახით პირველად იბეჭდება თანამედროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის, ესეისტური ტექსტები: »კაბდატა ინ ჯორჯია« (2008) და »პირადი ენციკლოპედია« (2007).



სა.გა.ს წიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!



სა.გა.ს წიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!